№1548 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში, „თბილისი 2015“ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში, მიეცეს უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, „თბილისი 2015“ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მწვანე გაზონისა (რულონი) და სარწყავი სისტემის მოწყობისათვის მომსახურების შესყიდვა – 88837,07 (ოთხმოცდარვა ათას რვაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და შვიდი თეთრი) ლარის ოდენობით –

განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ გამწვანების ღონისძიებების ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**